ხელშეკრულების პროექტი სამუშაოს შესყიდვის შესახებ #----------

ქ. თბილისი 201_წ.----------

I. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 201_ წლის ----------, ერთის მხრივ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას", (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ———————— სახით და მეორეს მხრივ ,,————" (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის, წარმოდგენილი დირექტორის ————— სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს სამუშაოები **(CPV: 45400000; 45410000; 45453000)** წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის (ხარჯთაღრიცხვა), დანართი №2-ის (ტექნიკური პირობა) და დანართი №3–ის (სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესი და პირობები) შესაბამისად.

2.2. დანართი №1, დანართი №2 და დანართი №3 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

III. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულების საერთო თანხა განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის მიხედვით და შეადგენს – (–) ლარს დღგ–ს ————— (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება").

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად შესრულებული მოცულობის მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ,,მიმწოდებლის" მიერ სათანადო დოკუმენტაციის (თუ ,,მიმწოდებელი" არის დღგ–ს გადამხდელი საგადასახდო ანფარიშფაქტურის) წარმოდგენიდან 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 იმ შემთხვევაში თუ "პრეტენდენტის" მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო გადახდა, "შემსყიდველი" "მიმწოდებელს" უხდის საავანსო თანხას (,,ხელშეკრულების ღირებულების" არაუმეტეს 30%-ისა). ,,მიმწოდებლის" მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით მეტი ვადით. ავანსად გაცემული თანხა ჩაითვლება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე პროპორციულად. იმ შემთხვევაში თუ ,,მიმწოდებელი" არის დღგ-ს გადამხდელი საბანკო გარანტიის შესაბამისი ანგარიშფაქტურა წარმოდგენილი უნდა იყოს ავანსის გადახდიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში.

3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია "მიმწოდებლისგან" მოითხოვოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.

4.3. “მიმწოდებელი” სამუშაოს ასრულებს წინამდებრე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სამუშაოები უნდა შესრულდეს წინამდებარე ხელშეკრულების ტექნიკური პირობების, ხარჯთაღრიცხვისა და სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესი და პირობები შესაბამისად.

4.4 “მიმწოდებელი” ვალდებულია წერილობით აცნობოს “შემსყიდველს” მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ და წარმოადგინოს მათთან დადებული ხელშეკრულების ასლები.

4.5 “მიმწოდებელი” სამუშაოებს ასრულებს საკუთარ მასალით (მასალები უნდა იყოს ექსპლუატაციაში არ მყოფი, ახალი) და იგი პასუხს აგებს მის ხარისხზე (იხილეთ სამუშაოების ტექნიკური პირობა).

4.6 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან. „მიმწოდებელი“ სუბკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ისევე აგებს პასუხს როგორც საკუთარი ძალებით შესრულებულზე. სამუშაოების მიღება-ჩაბარებისას შესრულებული სამუშაოების ვადებზე ასევე ხარისხსა, წინამდებრე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან და დადგენილ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისაობაზე „შემსყიდველის“ წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ „მიმწოდებელი“, მიუხედავად იმ გარემოებისა სამუშაოები აწარმოა თავისი საკუთარი ძალებით, თუ მესამე პირების - სუბკონტრაქტორების მეშვეობით.

4.7 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია ფარული სამუშაოების მიმდინარეობის და დასრულების შესახებ აცნობოს ,,შემსყიდველს“. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებული იქნება საკუთარი ძალებით უზრუნველყოს ფარული სამუშაოების ჩვენება, მიუხედავად ფარული სამუშაოების შემდეგ განხორციელებული სამუშაოებისა, ამ ხელშეკრულების 11.4. პუნქტში მითითებული პირისათვის.

4.8. ობიექტზე დაშვების უფლების მისაღებად და შემდგომ სამუშაოების შესრულების დროს „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაიცვას: საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წლის N366 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“-ს მოთხოვნები, 2) საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N434 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები“, 3) საქართველოს მთავრობის 17.12.2013 წლის N340 დადგენილებით დამტკიცებული „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“, 4) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნები, მათ შორის (და არა მხოლოდ):

ა) ობიექტზე დაშვების უფლების მისაღებად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია განსაზღვროს ჩასატარებელ სამუშაოთა ჯერადობა (ჩასატარებელ სამუშაოთა ხასიათის, პერსონალისა და ტექნიკის ცვლილების გათვალისწინებით) და დაშვების თარიღამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, წერილობით მიმართოს „შემსყიდველს“ და მიაწოდოს ინფორმაცია თითოეულ ჯერზე შესასრულებელი სამუშაოს შინაარსის, მოცულობის, შესრულების ვადების შესახებ (სამუშაოთა დაწყების და დასრულების თარიღის მითითებით), სამუშაოებში გამოსაყენებელი მანქანა–მექანიზმების/ტექნიკის და მათი მძღოლების, აგრეთვე, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე პასუხისმგებელ მივლინებულ პირთა სია: გვარების, ინიციალების, პირადობის მოწმობის პირადი ნომრების, თანამდებობების, მათთვის მინიჭებული უფლებების (სამუშაოთა ხელმძღვანელი, სამუშაოთა მწარმოებელი, მეთვალყურე, ბრიგადის წევრი) და მათი ელექტროუსაფრთხოების ჯგუფების მითითებით. (საქართველოს

მთავრობის 17.12.2013 წლის N340 დადგენილებით დამტკიცებული წესების 79–ე და 80–ე მუხლები და საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წლის N366 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე–4 მუხლის მე–5 პუნქტის მოთხოვნა);

ბ) მაღლივ/სიმაღლეზე სამუშაოებზე, საცეცხლე, სამშენებლო, სადემონტაჟო, ელექტრულ, ეგხ–ების დაცვის ზონაში სამუშაოებზე, მანქანა–მექანიზმებზე მომუშავე, ყველა სხვა სახის სამუშაოებში მონაწილე პირები და მთლიანობაში, ობიექტზე დაშვებული მივლინებული სამშენებლო–სამონტაჟო საწარმოს ყველა მუშაკი ფიზიკური/ფსიქიკური მონაცემებით უნდა შეესაბამებოდეს მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოს, უნდა იყოს ჯანმრთელი და გავლილი უნდა ჰქონდეთ ჯანმრთელობის სამედიცინო შემოწმება;

გ) „მიმწოდებელი“ პასუხისმგებელია მის მიერ მივლინებული პერსონალისათვის მინიჭებული ელექტროუსაფრთხოების ჯგუფების და უფლებების შესაბამისობაზე კვალიფიკაციასთან, აგრეთვე პერსონალის მიერ მოქმედი წესებისა და ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე.

დ) „მიმწოდებლის“ მიერ მივლინებულ იმ პირებს, რომლებსაც შეიძლება მუშაობა მოუწიოთ მაღლივ/სიმაღლეზე, საცეცხლე, ელექტრულ/ელექტროდანადგარებთან, ეგხ–ების დაცვის ზონაში, მანქანა–მექანიზმებზე და ყველა სპეციალური სახის სამუშაოებში, თან უნდა ჰქონდეთ ზემოაღნიშნული წესების მიხედვით გათვალისწინებული, დადგენილი ფორმის მოქმედი საკვალიფიკაციო მოწმობები, რომელშიც იქნება ჩანაწერი ელექტროდანადგარებში, მაღლივ/სიმაღლეზე, საცეცხლე, სპეციალურ სამუშაოზე მუშაობის წესების და ნორმების ცოდნის შემოწმების გავლის, მათთვის მინიჭებული შესაბამისი უფლების და ელექტროუსაფრთხოების ჯგუფის შესახებ. არასათანადოდ გაფორმებული საკვალიფიკაციო მოწმობების, ცოდნის შემოწმების ვადაგადაცილების ან/და საკვალიფიკაციო მოწმობების არარსებობის შემთხვევაში „მიმწოდებლის“ მივლინებული შესაბამისი პერსონალი ობიექტზე არ დაიშვება, ხოლო ამ მიზეზით სამუშაოების დაგვიანებით შესრულების ან საერთოდ შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებელს“ დაეკისრება ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

ე) ობიექტზე დაშვებისას „მიმწოდებლის“ მივლინებულმა პერსონალმა ვალდებულია თან იქონიოს აუცილებელი დამცავი საშუალებები (მათ შორის, დამცავი ჩაჩქანები, დამცავი ქამარი და დამზღვევი ბაგირი), რომელთა გარეშეც აღნიშნული პერსონალი არ დაიშვება ობიექტზე.

ვ) ,,მიმწოდებლის“ მივლინებულმა პერსონალმა სამუშაოები უნდა შეასრულოს განწესით ან/და განკარგულებით, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №3–ში განსაზღვრული სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესის და პირობების მკაცრი დაცვით.

V. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა

5.1 სახელშეკრულებო ობიექტის სამუშაო ადგილის გამოყოფა შემსყიდველის მოვალეობაა;

5.2 ,,მიმწოდებელი” პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

5.3 ,,მიმწოდებელი” პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;

- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;

- სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

VI. სამუშაოს შესრულების წესი

6.1 მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც სამშენებლო ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

VII. ნორმატიული დოკუმენტები

7.1. მუშაობის პროცესში "მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ყველა მოქმედი ნორმებისა და წესების მიხედვით. აღნიშნული ნორმებისა და წესების, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესების დაცვაზე ან/და მათი შეუსრულებლობის შედეგად დამდგარ შედეგზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ,,მიმწოდებელს".

VIII. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული მოცულობის მიხედვით შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 სამუშაოს დასრულებისთანავე ,,მიმწოდებელი" ატყობინებს ,,შემსყიდველს" სამუშაოს დასრულების შესახებ.

8.3 შეტყობინების მიღების შემდეგ "შემსყიდველის" სამუშაოთა მიმღები ჯგუფი ამოწმებს "მიმწოდებლის" მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში ,,შემსყიდველსა" და ,,მიმწოდებელს" შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე.

8.4 ხარვეზების აღმოჩენის (წუნდების) შემთხვევაში "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" სათანადო ხარვეზების შესახებ (წუნდების არსი). ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ,,შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან – (–) კალენდარული დღის განმავლობაში თავისი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზი.

IX. სამუშაოს შესრულების, გარანტიის ვადები და ადგილი

9.1 "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან და ობიექტზე დაშვებიდან – (–) კალენდარულ დღეში, ვადამდე შესრულების უფლებით.

9.2 სამუშაოების უნდა ჩატარდეს შემდეგ მისამართებზე (სამუშაოების შესრულების ადგილი): ----------

9.3 შესაბამისი ექსპლუატაციის პირობებში ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო მომსახურების ვადა არის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან – (–) წელს.

9.4 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი ან შეუსაბამობა, ,,მიმწოდებელი" ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი ,,შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინებიდან – (–) კალენდარული დღის ვადაში.

X. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ,,მიმწოდებლის" მიზეზით სამუშაოს დაგვიანებით შესრულების, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ შესრულების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს

პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, სამუშაოს სრულად და ჯეროვნად შესრულების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

10.2 ამ ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო "მიმწოდებელს" გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელი" არ გამოასწორებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზს ამ ხელშეკრულებით საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის დადგენილ ვადებში - შესატყვისი ვადის გასვლიდან ხარვეზის გამოსწორების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

10.3 „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, ,,მიმწოდებლი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

10.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

10.5 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ,,შემსყიდველისათვის" 10.3 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მოცულობის სრულად არ შესყიდვის შემთხვევაში "შემსყიდველს" პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

XI. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".

11.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან.

11.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან უზრუნველყოფს სსე–ის ——————————. 4.8 პუნქტის კონტროლს უზრუნველყოფს სსე–ის ——————————.

11.5 "შემსყიდველის" მოთხოვნის შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს თავის ან "შემსყიდველის" მიერ მოწონებულ ლაბორატორიაში მასალების

ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

11.6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება შესრულებული სამუშაოების მიღება–ჩაბარებისას, შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის მიხედვით. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ასევე განხორციელდება სამუშაოს შესრულების ვადის დაცვის მონიტორინგით.

XII. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა, ფორს-მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

XIII. ურთიერთობა მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

XIV. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

14.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

14.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

14.3 “შემსყიდველს” შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

14.3.1. თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.3.2. “მიმწოდებლის” გაკოტრების შემთხვევაში;

14.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს ,,შემსყიდველის“ მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

14.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ამ მუხლის 14.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

XV. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

15.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

XVI. დავათა განხილვა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხები

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XVII. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

17.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

17.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფედენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჟ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

XVIII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეებს შორის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 201_ წლის ——————— ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში საგარანტიო ვადის ბოლომდე.

XIX. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”: “მიმწოდებელი

ხელშეკრულების დანართი#1,
ხარჯთაღრიცხვა

ხელშეკრულების დანართი#2,
ტექნიკური პირობა

ხელშეკრულების დანართი#3,
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (სსე)ქ/ს “გორი 220“-ში სააკუმულატორო ოთახის, ქ/ს “ზაშური 220“-ში მართვის ფარის გადატიხვრის, დაცვის ჯიხურის გადახურვის, წყალსადენის სისტემის და სააკუმულატორო ოთახის სარემონტო სამუშაოებზე

1. სამუშაოთა შემსრულებელმა საწარმომ სამუშაოები უნდა ჩაატაროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ასევე, შემდეგი ნორმატიული აქტების მოთხოვნების განუხრელი დაცვით: 1) საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წლის N366 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“; 2) საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N434 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები“; 3) საქართველოს მთავრობის 17.12.2013 წლის N340 დადგენილებით დამტკიცებული „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“; 4) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“; 5) საქართველოს მთავრობის 2007 წლის 4 ივლისის N134 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“;

2. ობიექტზე დაშვებისათვის და სამუშაოების ჩატარების მიზნით, სამუშაოთა შემსრულებელი საწარმო ვალდებულია, განსაზღვროს ჩასატარებელ სამუშაოთა ჯერადობა (ჩასატარებელ სამუშაოთა ხასიათის, მუშაკებისა და ტექნიკის ცვლილების გათვალისწინებით) და სამუშაოების დაწყებამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე სსე–ს მიაწოდოს წერილობითი მონაცემები თითოეულ ჯერზე შესასრულებელი სამუშაოს შინაარსის, მოცულობის, შესრულების ვადების შესახებ (სამუშაოთა დაწყების და დასრულების თარიღის მითითებით), სამუშაოებში გამოსაყენებელი მანქანა–მექანიზმების/ტექნიკის და მათი მძღოლების, აგრეთვე, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე პასუხისმგებელ მივლინებულ პირთა სია: გვარების, ინიციალების, პირადობის მოწმობის პირადი ნომრების, თანამდებობების, მათთვის მინიჭებული უფლებების (სამუშაოთა ხელმძღვანელი, სამუშაოთა მწარმოებელი, მეთვალყურე, ბრიგადის წევრი) მითითებით;

3. *<u>მივლინებულ პირებს ობიექტის ტერიტორიაზე მკაცრად ეკრძალებათ ნებისმიერი ზომისა და სახეობის ცივი, ცეცხლსასროლი (მათ შორის, გლუვლულიანი/საფანტის), გაზის, პნევმატური, სათამაშო/სასწავლო და სხვა სახის იარაღის, საბრძოლო მასალების (მათ შორის, სასწავლო/სათამაშო ნიმუშების), ნებისმიერი სახეობისა და რაოდენობის ასაფეთქებელი, მომწამვლელი ან/და ადამიანებისა და გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებების, აგრეთვე, ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებების და ალკოჰოლური სასმელების შეტანა. ობიექტზე დაშვებისას ყველა მივლინებულმა პირმა/მუშაკმა სავალდებულოდ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/პასპორტი და ობიექტზე შესვლამდე ჩაბაროს ობიექტის დაცვის მუშაკს, ხოლო ობიექტიდან გამოსვლისას გამოართვას უკან. აკრძალულია აგრეთვე, ობიექტზე გამოცხადება ნასვამ (ალკოჰოლური ზემოქმედების) მდგომარეობაში, ფსიქოტროპული ან/და ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ. ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული მოთხოვნიდან ერთ–ერთის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაშიც კი შესაბამისი მივლინებული მუშაკი არ დაიშვება ობიექტზე, ხოლო პასუხისმგებელ პირებს დაეკისრებათ შესაბამისი ფინანსური, დისციპლინური, ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მივლინებული</u>*

საწარმოს მუშაკი ობიექტზე არ დაიშვება იმ შემთხვევაშიც, თუკი მისი პიროვნება (სახელი, გვარი და პირადი ნომერი) არ აღმოჩნდება ობიექტზე გადაცემულ სიაში;

4. პირი, რომელმაც მიიღო დადგენილი წესით თანხმობა ობიექტზე/ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის დაცვის ზონაში სამუშაოების შესრულებაზე, ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ელექტრული ქსელის მფლობელთან შეთანხმებული ტექნიკური პირობების და წესების დაცვით და უზრუნველყოს ელექტრული ქსელის უსაფრთხოება. თუ სამუშაოები ხორციელდება საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში, უსაფრთხოების მიზნით სამუშაოთა წარმოებისას სავალდებულოა ელექტრული ქსელის მფლობელი პირის წარმომადგენლის დასწრება;

5. ობიექტზე დაშვებული ყველა მივლინებული პირი ფიზიკური/ფსიქიკური მონაცემებით უნდა შეესაბამებოდეს მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოს, უნდა იყოს ჯანმრთელი და გავლილი უნდა ჰქონდეთ ჯანმრთელობის სამედიცინო შემოწმება;

6. მაღლივ/სიმაღლეზე, ელექტრულ, ეგხ–ების დაცვის ზონაში, მანქანა–მექანიზმებზე მომუშავე და ყველა სპეციალური სახის სამუშაოებში მონაწილე პირებს გავლილი უნდა ჰქონდეთ ცოდნის საკვალიფიკაციო შემოწმება, მინიჭებული უნდა ჰქონდეთ არანაკლებ უსაფრთხოების II (მეორე) საკვალიფიკაციო ჯგუფი (ბრიგადის წევრებს), არანაკლებ უსაფრთხოების III (მესამე) ჯგუფი მეთვალყურეს. განკარგულებით ჩასატარებელი სამუშაოების შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელს უნდა ჰქონდეს არანაკლებ III (მესამე) ჯგუფი, ხოლო განწესის შემთხვევაში – არანაკლებ IV (მეოთხე) ჯგუფი. სამუშაოთა ხელმძღვანელის დანიშვნის შემთხვევაში, მას უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების V (მეხუთე) ჯგუფი;

7. მაღლივი სამუშაოები (სამუშაოები, რომლებიც სრულდება 5 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მიწის, გადახურვის ან სამუშაო ნაფენის ზედაპირიდან) უნდა ჩაატარონ მოსიმაღლეებმა. აღნიშნულ სამუშაოებში მონაწილე პირებს (ბრიგადის წევრებს) გავლილი უნდა ჰქონდეთ ცოდნის საკვალიფიკაციო შემოწმება, უნდა ფლობდნენ მაღლივი სამუშაოების წარმოების თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ამასთან, ვინაიდან, მაღლივი სამუშაოები წარმოადგენს სპეციალურ სამუშაოებს, სპეციალური სამუშაოების ჩატარების უფლების მქონე მომუშავეებს მოწმობაში უნდა ჰქონდეთ გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერი <u>(საქართველოს საქართველოს მთავრობის 17.12.2013 წლის N340 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა);</u>

8. იმ სამუშაოებში მონაწილე ბრიგადის წევრებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მაღლივ/სიმაღლეზე, ელექტრულ, ეგხ–ების დაცვის ზონაში, მანქანა–მექანიზმებზე მუშაობასთან და ყველა სახის სპეციალურ სამუშაოებთან, დასაშვებია ჰქონდეთ უსაფრთხოების I (პირველი) ჯგუფი. ამ შემთხვევაში, ბრიგადას სავალდებულოდ უნდა დაენიშნოს სამუშაოთა მწარმოებელი (მეთვალყურე) – უსაფრთხოების III (მესამე) ჯგუფი;

9. მე–6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მომუშავეებს უნდა გააჩნდეთ საქართველოს მთავრობის 17.12.2013 წლის N340 დადგენილებით დამტკიცებული წესების N1 დანართით დადგენილი, მოქმედი საკვალიფიკაციო მოწმობები. მომუშავეები ვალდებულნი არიან აღნიშნული მოწმობები სამუშაოზე ყოფნის დროს მუდმივად იქონიონ თან;

10. სამუშაოებზე დაშვებამდე მივლინებულმა პირებმა უნდა გაიარონ შესავალი ინსტრუქტაჟი სსე–ს შიდა ქართლის რეგიონალურ ქსელში ტექნიკური უსაფრთხოების და ინსპექციის სამსახურის უსაფრთხოების რეგიონალურ ინჟინერთან, ხოლო პირველადი ინსტრუქტაჟი შრომის დაცვაში – შესაბამისი ქვესადგურის ხელმძღვანელობასთან, ინსტრუქტაჟის ჟურნალში შეტანით. პირველადი ინსტრუქტაჟი უნდა ჩატარდეს ადგილობრივ

თავისებურებათა და გამოყოფილ უბანზე საშიში გარემოებების/ფაქტორების გათვალისწინებით;

11. ქვესადგურის ღგმ–ზე, სეგხ–ების დაცვის ზონაში, მაღლივი/სიმაღლეზე, მანქანა–მექანიზმების გამოყენებით სამუშაოები სავალდებულოდ უნდა შესრულდეს განწესი–დაშვებით და უსაფრთხოების ყველა საჭირო ორგანიზაციულ–ტექნიკური ღონისძიების წინასწარი გატარებით. სავალდებულო წესით უნდა დაინიშნოს სამუშაოთა მწარმოებელი და მეთვალყურე, სამუშოები უნდა შესრულდეს შესაბამისი ქვესადგურის და რეგიონალური ქსელის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. დაუშვებელია განწესით დადგენილი ღონისძიებების თვითნებური შეცვლა, აგრეთვე განწესით განსაზღვრული სამუშაო ადგილის და დავალების მოცულობის გაფართოება. აუცილებლობის შემთხვევაში, მოქმედი წესების დაცვით წინასწარ/თავიდან უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება.

12. <u>სამუშაოებზე პირველად დაშვებას დამკვეთი ორგანიზაციის ტერიტორიაზე ასრულებს ენერგოობიექტის პერსონალის წარმომადგენელი (დამშვები)</u>. დამშვები მიმავლინებელი საწარმოს სამუშაოს ხელმძღვანელის ან პასუხისმგებელი შემსრულებლის დაშვებას ახორციელებს უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესაბამისად. მომდევნო დღეებში მომზადებულ სამუშაო ადგილზე განმეორებით დაშვებას დამშვების ნებართვით ახორციელებს მივლინებული პირების მხრიდან გამოყოფილი სამუშაოს ხელმძღვანელი. მივლინებული პირების სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) სამუშაოდ მომზადებულ ადგილზე შეუძლია დაუშვას ბრიგადა დამშვების ნებართვით თუ მას ეს ევალება განწესის "ცალკეული მითითებების" სტრიქონში ჩანაწერით. ყოველდღიურად ბრიგადის სამუშაოებზე დაშვება უნდა განხორციელდეს მიმდინარე (მიზნობრივი) ინსტრუქტაჟის ჩატარების შემდგომ, რომელიც ბრიგადის წევრებს უნდა ჩაუტარონ მივლინებული პირების მხრიდან გამოყოფილმა სამუშაოს ხელმძღვანელმა, სამუშაოს მწარმოებელმა და მეთვალყურემ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბრიგადის წევრებთან ინსტრუქტაჟის მკაფიოდ და სრულად ჩატარებაზე, აგრეთვე, მომზადებული სამუშაო ადგილის შესაბამისობაზე განწესით/განკარგულებით განსაზღვრულთან და სამუშაოს შესრულების პირობებიდან გამომდინარე მათ მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებებზე; ასევე, აუცილებელი დამცავი საშუალებების (მათ შორის, სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებების), ინვენტარის, ინსტრუმენტების და სამარჯვების არსებობაზე, გამართულობაზე და სწორად გამოყენებაზე; სამუშაო ადგილზე შემოღობვების, უსაფრთხოების პლაკატებისა და ნიშნების, ჩამკეტი მოწყობილობების დაცულობაზე; სამუშაო ადგილზე ხანძარსაწინააღმდეგო და ფეთქებადსაწინააღმდეგო წინასწარი ღონისძიებების გატარებაზე და მკაცრად დაცვაზე, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე და ბრიგადის წევრებისა და მათ მიერ მოქმედი წესების დაცვაზე; ბრიგადის წევრებზე მუდმივი კონტროლის განხორციელებაზე;

13. სამუშაო ადგილზე/გამოყოფილ უბანზე უსაფრთხოების ტექნიკის და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე, მივლინებული მუშაკების უსაფრთხოდ მუშაობაზე და მათი კვალიფიკაციის შესაბამისობაზე ჩასატარებელი სამუშაოს სპეციფიკასთან, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმავლინებელ საწარმოს. ამასთან, მივლინებული პირები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან სამუშაო ადგილზე არსებული მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობა–დანადგარების მუშაობის დადგენილი რეჟიმები და თავიანთი ქმედებებით არ გამოიწვიონ რაიმე შეფერხებები. მივლინებული პირებისათვის გამოყოფილი უბანი/სამუშაო ადგილი უნდა იყოს სავალდებულოდ შემოღობილი უსაფრთხოების ლენტით;

14. მაღლივი/სიმაღლეზე, ეგხ–ების დაცვის ზონაში, ელექტრული, მანქანა–მექანიზმების გამოყენებით, აგრეთვე, ქვესადგურის ღგმ–ში მიმდინარე და სხვა სამუშაოები მივლინებულმა

პირებმა უნდა ჩაატარონ გამოყენებისათვის ვარგისი დამცავი სათვალის, დამცავი ჩაფხუტის, დამცავი ქამრის, დამზღვევი ბაგირის, დამცავი ხელთათმანების, შემოღობვის ლენტის და სხვა აუცილებელი საშუალებების სავალდებულო გამოყენებით. აღნიშნული საშუალებები ობიექტზე დაშვებისას თან უნდა იქონიონ/მოიტანონ მივლინებული საწარმოს მუშაკებმა. მათ თან უნდა ჰქონდეთ აგრეთვე, სხვა საჭირო საშუალებებიც (უსაფრთხოების ღობურები, პლაკატები, ნიშნები და სხვა). 1,3 მეტრ და მეტ სიმაღლეზე სამუშაოების წარმოების დროს სამუშაო ადგილები უნდა შემოიღობოს არანაკლებ 1,1 მეტრი სიმაღლის მოაჯირით. საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ადგილზე დამატებით უნდა დაყენდეს დამცავი მოწყობილობები (ბადეები, ფარები, ფენილები და ა.შ.);

15. მივლინებულმა პირებმა სამუშაო ადგილზე უნდა უზრუნველყონ საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა განუხრელი დაცვა. სამუშაოების წარმოების დროს აკრძალულია ფეთქებადი და ადვილადაალებადი ნივთიერებების გამოყენება. სამუშაოების მიმდინარეობისას მიღებული და დაცული უნდა იყოს აფეთქება და ხანძარსაწინააღმდეგო ზომები. მივლინებულ პირებს ობიექტის ტერიტორიაზე ეკრძალებათ თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად საამისოდ გამოყოფილი ადგილებისა;

16. მასალები უნდა დასაწყობდეს რეგიონალური ქსელის და ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ წინასწარ გამოყოფილ ადგილზე. აღნიშნულ სამუშაოზე გამოყენებული უნდა იქნას ყველა აუცილებელი დამცავი საშუალება;

17. სამუშაო ადგილზე ხარაჩოები უნდა მოეწყოს 1985 წლის 30 აპრილს სსრკ-ს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული “უსაფრთხოების წესები ინსტრუმენტითა და სამარჯვებით მუშაობისას" შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 17.12.2013 წლის N340 დადგენილებით დამტკიცებული წესების 78–ე მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნა); 4 მეტრი სიმაღლის ხარაჩოების ექსპლუატაცია დასაშვებია სამუშაოთა მწარმოებლის ან სამუშაოთა ხელმძღვანელის მიერ მათი მიღების და სამუშაოების წარმოების რეგისტრაციის ჟურნალში მათი რეგისტრაციის შემდეგ, ხოლო 4 მეტრზე მეტი – მიმავლინებელი საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანებით დანიშნული კომისიის მიერ მიღების და სათანადო აქტის შედგენის შემდეგ. ხარაჩოები ექსპლუატაციის პროცესში უნდა მოწმდებოდეს მიმავლინებელი საწარმოს სამუშაოთა მწარმოებლის ან სამუშაოთა ხელმძღვანელის მიერ სამუშაოების დაწყების წინ, აგრეთვე ყოველ 10 დღეში ერთხელ სათანადო ჟურნალში გატარებით; საკიდი ხარაჩოების ექსპლუატაცია დაიშვება მხოლოდ მათი 1 საათის განმავლობაში სტატიკური დატვირთვით გამოცდის შემდეგ, რომელიც ნორმატიულს უნდა აღემატებოდეს 20%-ით. გამოცდის შედეგები უნდა აისახოს მათი მიღების აქტში ან სამუშაოთა საერთო ჟურნალში. ასაწევი ხარაჩოები გარდა აღნიშნულისა, უნდა იყოს გამოცდილი დინამიურ დატვირთვაზე, რომელიც აღემატება ნორმატიულზე 10%-ით მეტით. დაუშვებელია ხარაჩოების გადაადგილება ქარის 10 მ/წ-ზე მეტი სიჩქარის დროს; აკრძალულია მოხარაჩოების რაიმე საშუალებების დაყენება (მიმაგრება) დამონტაჟებულ, მონტაჟის სტადიაში მყოფ ან დასამონტაჟებლად გამზადებულ კონსტრუქციებთან, თუ ამას არ ითვალისწინებს სამუშაოთა წარმოების პროექტი ან არ არის დადასტურებული საპროექტო საწარმოსთან შეთანხმებული ანგარიშით; დატვირთვა ხარაჩოების ფენილებზე არ უნდა აღემატებოდეს სამუშაოთა წარმოების პროექტით ან ტექნიკური პასპორტით დადგენილ სიდიდეებს;

18. მანქანა–მექანიზმების გამოყენებით მუშაობის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გაიცეს განწესი, დაინიშნოს უსაფრთხოების V (მეხუთე) ჯგუფის მქონე სამუშაოთა ხელმძღვანელი (რომელსაც ინსტრუქტაჟის უტარებს განწესის გამცემი და დამშვები), განისაზღვროს უსაფრთხოების ორგანიზაციულ–ტექნიკური ღონისძიებები და სათანადოდ

მომზადდეს სამუშაო ადგილი. სამუშაოებში მონაწილე ყველა ამწე–სატრანსპორტო საშუალება, მანქანა–მექანიზმი, ტვირთამწე მანქანები, ბაგირები, ჯალამბარები უნდა იყოს მუშაობისათვის ვარგისი, გამართული და შემოწმებაგავლილი/გამოცდილი. ელექტროსადენების ქვეშ გავლის შემთხვევაში ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების ამწევი და გამოსაწევი ნაწილები უნდა იმყოფებოდეს სატრანსპორტო მდგომარეობაში. აკრძალულია ტვირთამწეების და მანქანა–მექანიზმების დაყენება და მუშაობა 0,4 კვ–დან 35 კვ ჩათვლით ძაბვის ქვეშ მყოფი სეგხ-ის ან/და სალტეების (შლეიფების) სადენების ქვეშ. ღგმ–ში/სეგხ-ის დაცვის ზონაში ძაბვის მოუხსნელად ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას ავტომობილები, ტვირთამწე მანქანები და მექანიზმები უნდა დამიწდეს. დამიწების დაყენებამდე აკრძალულია ავტომობილების (ტვირთამწე მანქანების, მექანიზმების) კორპუსზე შეხება და მათი სამუშაო ორგანოს, ტვირთსაჭერი სამარჯვების და საყრდენი დეტალების გადაადგილება. აკრძალულია ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების მუშაობისას ასაწევი ტვირთის, ტელესკოპური კალათის ქვეშ, აგრეთვე დასაჭიმი სადენების (გვარლების), საბრჯენების, სამაგრების და მომუშავე მექანიზმების უშუალო სიახლოვეს (5 მ-ზე ახლოს) ადამიანების ყოფნა. სამუშაოს ხელმძღვანელმა ინსტრუქტაჟი უნდა ჩაუტაროს სამუშაოს მწარმოებელს, მეთვალყურეს და ბრიგადის წევრებს. მანქანა–მექანიზმები უნდა განლაგდეს ისე, რომ არ შეეხოს და არ დააზიანოს ობიექტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა მიწისქვეშა/მიწისზედა კომუნიკაციები. მივლინებული პირების მიერ ობიექტის ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოება სხვადასხვა სახის ამწე მანქანებით და გამოსაწევ ნაწილებიანი მექანიზმებით დასაშვებია იმ პირობით, რომ მანქანის ან მისი გამოსაწევი ან ამწევი ნაწილიდან, ასევე მისი მუშა ორგანოდან ან ნებისმიერ მდგომარეობაში მყოფი ასაწევი ტვირთიდან (მათ შორის, მაქსიმალურად აწეული ტვირთით ან ისრით) ძაბვის ქვეშ მყოფ უახლოეს სადენამდე, არ იქნება ცხრილი #1-ში მითითებულ მანძილებზე ნაკლები. ამასთან, ასეთ სამუშაოებზე განწესის გამცემმა უნდა განსაზღვროს ელექტროდანადგარების/ეგხ–ების გამორთვის და დამიწების საჭიროება.

ცხრილი 1. დასაშვები მანძილები ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტროგადამცემი ხაზის/ელექტროდანადგარის დენგამტარ ნაწილებამდე მანქანა–მექანიზმების შემთხვევაში:

მაღალი ძაბვის ეგხ-ს ძაბვა, კვ	მანძილი, მ	
	ნომინალური	მინიმალური, ტექნიკური საშუალებებით გაზომვადი
1-მდე	1,5	1,5
1-დან 20-მდე	2,0	2,0
20-დან 35-მდე	2,0	2,0
35-დან 110-მდე	3,0	4,0
110-დან 220-მდე	4,0	5,0
220-დან – 400-მდე	5,0	7,0

19. ობიექტზე სამუშაოების წარმოებისას, ასევე მასალების დასაწყობებისას და ნაგავის გატანისას აკრძალულია ადამიანების მიახლოება ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტროდანადგარების/ელექტროგადაცემის ხაზების შემოუღობავ დენგამტარ ნაწილებთან ცხრილი #2-ში მითითებულ მანძილზე ახლოს:

ცხრილი 2. დენგამტარ ნაწილებამდე მიახლოების დასაშვები მანძილები ადამიანების შემთხვევაში

ძაბვა, კვ		მანძილი ადამიანებიდან და მათ მიერ გამოყენებული იარაღებიდან, სამარჯვებიდან, დროებითი შემოღობვებიდან (მ)
1- მდე	სეგხ-ზე	0,6
	დანარჩენ ელექტრო დანადგარებში	არ ნორმირდება (შეხების გარეშე)
1-35		0,6
110		1,0
150		1,5
220		2,0

20. ობიექტის ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში/ ელექტროდანადგარებში დაზიანების შემჩნევის შემთხვევაში, მომუშავე დაზიანების ადგილს არ უნდა მიუახლოვდეს 8-10 მეტრის მანძილზე, რათა არ მოხვდეს ბიჯური ძაბვის ზონაში. ბიჯური ძაბვის ზონაში მოხვედრის შემთხვევაში მომუშავემ ბიჯური ძაბვის ზონიდან გამოსვლა უნდა განახორციელოს მოკლე ნაბიჯებით ფეხის ტერფების ერთმანეთისგან მოუცილებლად 8-10 მეტრის მანძილზე;

21. სამუშაო ადგილის მიმდებარედ მოქმედ ელექტროდანადგარებში/ეგხ–ების დაცვის ზონაში ელექტროუსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნიკური ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში, დისპეტჩერული განაცხადების გადაცემა და ელექტროდანადგარების გამორთვების ჩატარება დადგენილი წესით, ძაბვის არარსებობის შემოწმება, გადასატანი დამიწების დადება, შემოღობვა, პლაკატების ჩამოკიდება და სხვა) უნდა შესრულდეს: არანაკლებ IV (მეოთხე) ჯგუფის მქონე მორიგე–ოპერატიული პერსონალის მიერ, სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე ზემდგომი ოპერატიული პერსონალის სავალდებულო განკარგულებით/ნებართვით. ამასთანავე, სამუშაო ადგილზე მანქანა–მექანიზმების დამიწებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრეთვე, მივლინებულ პირებს. <u>1000 ვოლტზე დაბალი ძაბვის ელექტრული ქსელის მოწყობის და მოქმედ ელექტრულ ქსელთან მიერთების სამუშაოები უნდა შესრულდეს განწესის გაცემით, პასუხისმგებლი პირების დანიშვნით, უსაფრთხოების ყველა საჭირო ღონისძიების წინასწარი გატარებით;</u>

22. სამუშაოთა წარმოებისას მომუშავეებმა უნდა დაიცვან სახიფათო ზონების საზღვრები, რომელთა ფარგლებში შესაძლებელია საფრთხის წარმოქმნა საგნების ჩამოვარდნასთან დაკავშირებით, ცხრილი #3-ის შესაბამისად:

ცხრილი 3. სახიფათო ზონების საზღვრები

საგნის შესაძლო ჩამოვარდნის სიმაღლე, მეტრი	ტვირთის გადაზიდვის ადგილებთან ახლოს მანქანებით გადაად–გილებული ტვირთის მაქსიმალური გაბარი–ტის ტრაექტორიის ჰორიზონტალური პროექციიდან), მეტრი	მოქმედი/ მშენებარე შენობა-ნაგებო–ბების ახლოს (მისი გარე პერიმეტრიდან), მეტრი	დასანგრევი (სადემონტაჟო) შენობა–ნაგებობის ახლოს (მისი გარე პერიმეტრიდან), მეტრი
10 მ-მდე	4	3,5	7
20 მ-მდე	7	5	10

20-დან 70 მ–მდე	10	7	14

23. სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დროს (შესვენება სადილზე, მუშაობის პირობებით გამოწვეული შესვენება და სხვა) ბრიგადა გამოყვანილი უნდა იქნას სამუშაო ადგილიდან. ბრიგადის წევრებს შესვენების შემდეგ უფლება არა აქვთ სამუშაოს მწარმოებლის (მეთვალყურის) გარეშე დაბრუნდნენ სამუშაო ადგილზე. შესვენების შემდეგ დაშვებას ახორციელებს სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) განწესში გაუფორმებლად. სამუშაოების დაწყებამდე, სამუშაოების მიმდინარეობისას, შესვენებისას და დამთავრებისას ბრიგადის წევრებს, სამუშაოს ხელმძღვანელს, სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) ეკრძალებათ შემოღობილი სამუშაო ადგილის გარეთ არსებული ელექტროდანადგარების/ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენებზე და სხვა კონსტრუქციებზე ასვლა; ასევე, ღია, დახურულ, კომპლექტურ გამანაწილებელ მოწყობილობებში და სხვა ტექნოლოგიურ სათავსოებში შესვლა. ქვესადგურის მართვის ფარის/სამორიგეო ოთახში სამუშაოების წარმოებისას სავალდებულოა დაინიშნოს მეთვალყურე, რომელიც მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სამუშაო ადგილზე;

24. სამუშაო დღის დამთავრებით გამოწვეული სამუშაოს შეწყვეტის დროს ბრიგადა უნდა გავიდეს სამუშაო ადგილიდან. უსაფრთხოების პლაკატები, დროებითი შემოღობვები, ალმები არ იხსნება. სამუშაოს დროებით შეწყვეტას სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) აფორმებს განწესის თავის ეგზემპლარში ხელის მოწერით. მომდევნო დღეებში სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) სამუშაოდ მომზადებულ ადგილზე შეუძლია დაუშვას ბრიგადა დამშვების ნებართვით თუ მას ეს ევალება განწესის “ცალკეული მითითებების" სტრიქონში ჩანაწერით. მეორე დღეს მუშაობის განახლებისას სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) უნდა დარწმუნდეს დატოვებული უსაფრთხოების პლაკატების, დროებითი შემოღობვების, ალმების სიმრთელესა და ხელუხლებლობაში, ასევე მომუშავეთათვის აუცილებელი ყველა სახის დამცავი აღჭურვილობის არსებობაში/გამართულობაში და მხოლოდ ამის შემდეგ დაუშვას ბრიგადა სამუშაოდ. დაშვება, რომელსაც ახორციელებს ელექტროტექნიკური/ ოპერატიული პერსონალი, ფორმდება განწესის ორივე ეგზემპლარში, ხოლო დაშვება, განხორციელებული სამუშაოს ხელმძღვანელის ან სამუშაოს მწარმოებლის (მეთვალყურის) მიერ ფორმდება განწესის იმ ეგზემპლარში, რომელიც ინახება სამუშაოს მწარმოებელთან (მეთვალყურესთან);

25. სამუშაოს სრულად დამთავრების შემდეგ სამუშაოს მწარმოებელმა (მეთვალყურემ) უნდა გაიყვანოს ბრიგადა სამუშაო ადგილიდან, მოხსნას მხოლოდ ბრიგადის მიერ დაყენებული დროებითი შემოღობვები, უსაფრთხოების გადასატანი პლაკატები, ალმები და განწესში გააფორმოს სამუშაოს დამთავრება ხელის მოწერით. სამუშაოს ხელმძღვანელმა სამუშაო ადგილის შემოწმების შემდეგ განწესში უნდა გააფორმოს სამუშაოს დამთავრება. სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) გაფორმებულ განწესს აბარებს დამშვებს, მისი არ ყოფნის შემთხვევაში კი განწესის გამცემს. ამასთან, სამუშაოების დამთავრების შესახებ სავალდებულოდ უნდა ეცნობოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სხვა შესაბამის წარმომადგენლებსაც. გაფორმებული და დახურული განწესის დედნები საბოლოოდ ინახება ქვესადგურის განწესების საქაღალდეში.